ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/16

დაბა ქედა,

13 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის 1- ლი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვეძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/16 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

13 დეკემბერი, 2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 დეკემბრის №01-06/16 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. **„ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა მოწვეული იქნა 2021 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე, ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვერსია კი შემოვიდა 10 დეკემბერს დღის 17:30 საათზე, რადგანაც 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, იმისათვის რომ მოხდეს მისი საჯარო განხილვა, ყველა კომისიასა და ფრაქციას შენიშვნების/ცვლილებების პროექტის წარმოსადგენად მიეცეს გონივრული ვადა, საჭიროა დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე საკითხის დამატება, შესაბამისად ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ხელახალი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 დეკემბრის №01-06/16 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი დამატებული საკითხის გათვალისწინებით.

მოისმინეს: 1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი (შემოსული დოკუმენტი N12-95213407-95 06.12.2021წელი).

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა -/+	შენიშვნა
1	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღები	30 000	საქონელი და მომსახურება (კვების ხარჯი, ეკონომია)
2	05 02 04	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	20 500	კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე გაუქმდა ღონისძიებების ჩატარება
3	05 03 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	19 500	კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე გაუქმდა ღონისძიებების ჩატარება
4	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	20 000	კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე გაუქმდა ღონისძიებების ჩატარება
5	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	10 000	ხელშეკრულების ღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია
6	05 03 02	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7 870	კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე გაუქმდა ღონისძიებების ჩატარება
7	02 02 01 04	სს „აჭარის წყლის ალიანსის" საწესდებო კაპიტალის შენატანი	10 400	წარმოქმნილი ეკონომია
8	02 02 01 08	სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მოწყობა	1 700	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
9	06 01 10 01	სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია	9 700	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
10	01 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	119 500	წარმოქმნილი ეკონომია
11	02 03 01 04	26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	14 300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
12	02 02 01 06	ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა	54 800	ღონისძიება არ ტარდება მიმდინარე წელს(იხილეთ დანართი 03-94213402)
13	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	31 200	წარმოქმნილი ეკონომია
14	04 01 02 01	ქედის N1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია	21 000	დაფინანსება ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან
15	02 01 04	დაბა ქედაში გოგებაშვილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის ჩასასვლელის რეაბილიტაცია	11 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
16	05 04 01	სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი	6 500	ტენდერიდან მიღებული ეკონომია

17	05 01 04 06	სოფელ ვაიოში სპორტული მოედნის მიმდებარედ სპორტული ატრაქციონის მოწყობა	40 000	ღონისძიება არ ტარდება მიმდინარე წელს(იხილეთ დანართი 03-94213402)
18	02 03 03 05	სოფელ წონიარისის კეთილმოწყობა (ბილიკის და კიბის მოწყობა)	7 000	ღონისძიება არ ტარდება მიმდინარე წელს(იხილეთ დანართი 03-94213402)
19	02 02 01 07	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა	9 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
20	06 02 08	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	3 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
21	02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	2 400	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
ჯამი			449 370	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახური	4 500	საწვავის ფასის ზრდის გამო გამოწვეული სხვაობის გაბალანსება და საშვებულოების შესვსება
2	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	0	მუხლებს შორის დაზუსტება (არაფინანსურიდან საქონელიდა მომსახურებაში 35500 ლარი, სხვა ხარჯში 15800 ლარი)
3	03 01 02	ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შეძენა	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა (არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურება 20000 ლარი)
4	05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	17 800	საქონელი და მომსახურება 17800, მუხლებ შორის თანხის გადატანა საქონელიდან სხვა ხარჯი 980 ლარი,არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურებაში 5900 ლარი.
5	05 01 03 01	საფეხბურთ კლუბი ბეთლემი	18 000	სუბსიდია (12 00 საწევრო, 2500 საწვავი, 1200 სასწრაფოს დაქირავების ხარჯი, 1900 კვება, სამედიცინო 400)
6	05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის ხელოვნების სკოლა	0	მუხლებს შორის გადატანა (1300 ლარი, საქონელი და მომსახურებიდან შრომის ანაზღაურებაში, შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 990 ლარი)
7	05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა (საქონელიდან არაფინანსურში 1700 ლარი)
8	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღები	0	მუხლებს შორის გადატანა (საქონელი და მომსახურებიდან არაფინანსურ აქტივებში 15000 ლარი, შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 3000).
9	05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	55 000	საქონელი და მომსახურება 55000 (საახალწლო ღონისძიებების შეძენა (განათებების შეძენა-მონტაჟი-დემონტაჟი 35 000 ლარი, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება 20 000), მუხლებს შორის გადატანა (საქონელი და მომსახურებიდან არაფინანსურში 1350
10	02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა (სხვა ხარჯიდან სუბსიდიაში 15 500 ლარი)
11	03 01 01	შპს ქედის კომუნალურ სერვისი	9 500	9500 ლარი სუბსიდია, მუხლებს შორის თანხის გადატანა (სხვა ხარჯიდან სუბსიდიაში 10 000 ლარი)
12	06 01 01	ამბულატორიულის მომსახურება	18 000	სუბსიდია: საწვავის ფასის ზრდის კომპენსირება

13	02 03 01 07	კოლოტაურის სოფლის სახლის რემონტი	**45 000**	ღონისძიება დაგეგმილი იყო ორწლიანი შესყიდვით, ხოლო შემსყიდველმა უზრუნველყო მთლიანი სამუშაოების შესრულება მიმდინარე წელს.
14	01 02 02	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	**44 848**	საქონელი და მომსახურება: ექსპერტიზის ხარჯი 8300 ლარი, საშვებულოების შევსება და საწვავის ფასის ზრდის გამო გამოწვეული სხვაობის გაბალანსება 30000 ლარი, სოციალური 6548 ლარი
15	01 01 01	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	**0**	მუხლებს შორის თანხის გადატანა (შრომის ანაზღაურებიდან სხვა ხარჯი 9400 ლარი)
16	05 01 03 02	სარაგბო კლუბი ფირალები	**15 000**	სუბსიდია: საწევროს გადასახადი
17	01 02 01	სარეზერვო	**30 000**	სხვა ხარჯი
18	06 02 10	0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა	**2 500**	სოციალური მომსახურება
19	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეგილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეგილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	**10 000**	სოციალური მომსახურება
20	06 01 06	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	**20 000**	სოციალური მომსახურება
21	06 01 05	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	**6 000**	სოციალური მომსახურება
22	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	**0**	მუხლებს შორის დაზუსტება (სოციალურიდან სხვა ხარჯებში 1000 ლარი)
23		ნაშთის ზრდა	**153 222**	
ასიგნებების ჯამი			**449 370**	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			**0**	X

მომხსენებლის განმარტებით, მიზანშეწონილია წარმოდგენილ ცვლილებათა რეესტრში მონაწილეობითი ბიუჯეტის მუხლში მოხდეს დაზუსტება, კერძოდ არაფინანსურიდან საქონელი და მომსახურებაში ჩაიწეროს 85500 ლარი, ნაცვლად 35500 ლარისა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ როგორ ხდებოდა 200 ლარიანი მედიკამენტების ვაუჩერის გაცემა?

საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სახელმწიფო (სამედიცინო) პროგრამებით. მიუხედავად ამისა COVID-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისთვის მედიკამენტების მიწოდება სიცოცხლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიი მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა შესაბამისი ოჯახებისთვის დახმარების პროგრამა - სოციალურად დაუცველი

ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის ვეტერანები, საქართველოს მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები), მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, მარტოხელა ასაკით პენსიონერები, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას. მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას ვაუჩერის სახით - მედიკამენტების შესაძენად. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ იკითხა, თუ რატომ არ განხორციელდა ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა?

აღნიშნულზე მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ უპასუხა, რომ სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა ირაკლი მახარაძემ მოითხოვა განმარტება თუ რატომ არ შედგა სოფელ წონიარისის ცენტრის კეთილმოწყობა (ბილიკის და კიბის მოწყობა) და რატომაა მერიაში საწვავის ხარჯები გაზრდილი?

მომხსენებელმა განმარტა, რომ წონიარისის კეთილმოწყობის პროექტზე არ შედგა ტენდერი, თუმცა 2022 წელის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აღნიშნული ბილიკებისა და კიბის მოწყობა, ხოლო საწვავის ხარჯების ზრდა გამოწვეული იყო საწვავზე ფასის მომატების გამო (საწვავის შეძენა დათვლილი იყო 2 ლარიდან).

კითხვით მიმართა მომხსენებელს საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრისათვის გამოყოფილი 55 ათასი ლარი ხომ არ იყო ძალიან ბევრი ამ საახალწლო ღონისძიებისათვის და შედიოდა თუ არა მასში ბავშვებისათვის სასაჩუქრე ფუთების შეძენა და გადაცემა?

რაზედაც ჯემალ ტაკიძემ განუმარტა, რომ ამ თანხაში შედიოდა ყველა ღონისძიება: ნაძვის ხის დადგმა, განათებები, კულტურული ღონისძიებები, საჩუქრების გადაცემა (განათებების შეძენა-მონტაჟი, დემონტაჟი 35 000 ლარი, ხოლო კულტურული ღონისძიებების ორგანიზება 20 000),

აღნიშნულ საკითხზე სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის შენიშვნის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 6

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:დ-95.95213471).

2. მოისმინეს: „ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის

განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში - „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, რათა სამართლებრივად ახლებურად მოწესრიგდეს დაკავებული პოზიციის დასახელება, ასევე თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. (შიდა დოკუმენტი N:95-95213434, 09.12.2021წელი).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ განაცხადა რომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი განვითარების აკადემი“-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოქვეყნებული 2021 წლის ანგარიშით ნათლად ჩანს, რომ წინა მოწვევის და ამჟამად მოქმედი დეპუტატების უმრავლესობა არის პასიური, კომისიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინიციატივების აღწერილობისა და ინიციატივების რაოდენობის მიხედვით, ამიტომ ის ვერ ხედავდა მოდგილეების თანამდებობების დამატებისა და სარგოების ზრდის საჭიროებას.

რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოდგილე რომან დავითაძემ უპასუხა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქმის კეთება და არა არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების კითხავა, ყველა საკრებულოს წევრი, მათ შორის მოადგილეები მნიშვნელოვნად ჩართული იყვნენ საკრებულოს სხდომებში, ასევე კომისიის სხდომებში და საკითხების მომზადების პრცესში“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6

დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილების პროექტი.
(დადგენილება **N:დ-95.95213472**).

3. მოისმინეს: „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2021 წლის 22 დეკემბრის დღის 18 საათამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 23 დეკემბერს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი). „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის 29 დეკემბერი (შემოსული დოკუმენტი: **N:12-952134411-95, 10.12.2021 წელი**).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95213472).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი"- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მიმდინარე წელში ადგილობრივი ბიუჯეტით შესყიდული იქნა 40 ცალი 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები ბორბლებიანი კონტეინერი. რომლის ღირებულება (ერთეულის) შეადგენს 488,0 (ოთხასოთხმოცდარვა) ლარს, ჯამში 19520,0 (ცხრამმეტიათასხუთასოცი) ლარს დღგ-ის ჩათვლით. მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და გატანის მიზნით, მიზანშეწონილია ნაგავშემკრები ბორბლებიანი კონტეინერები შემდგომი გამოყენებისათვის გადაეცეს შპს „ქედის კომუნალურსერვის"-ს. (შემოსული დოკუმენტი: **N:12-95213351-95, 01.12.2021წელი).**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95213471).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**